Partnership for Good Governance
პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE
ევროპის საბჭო

საინფორმაციო ბიულეტენი
მარტი - აპრილი, 2017

ვმუშაობთ ერთად წამებასთან ბრძოლის ახალი სამოქმედო გეგმის დახვეწაში

ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში და ევროკავშირის დელეგაცია ეხმარებიან საქართველოს მთავრობას წამებასთან ბრძოლის არსებული სამოქმედო გეგმის მიმდინარეობის შეფასებასა და პარტნიორების მიერ შემუშავებული ახალი 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის დახვეწაში.

20 აპრილს თბილისში გამართული სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, ევროსაბჭოს ექსპერტმა და საქართველოს იუსტიციის, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის, შინაგან საქმეთა სამინისტროების, სახალხო დამცველის ოფისის, სხვადასხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა დეტალურად განიხილეს ახალი სამოქმედო გეგმის შესაბამისობა ევროპის საბჭოსა და ზოგადად ევროპულ სტანდარტებთან მიმართებაში, ისაუბრეს პრობლემურ საკითხებზე და მათი გადაჭრის გზებზე.

იხილეთ მეტი ...

ვმუშაობთ ერთად სასჯელაღსრულების დაწესებულებათა პერსონალისა და პატიმართა კეთილდღეობისათვის

2017 წლის 11-13 აპრილს ევროპის საბჭომ და ევროკავშირმა სასჯელაღსრულების დაწესებულებათა თანამშრომლების ორი ჯგუფისთვის ჩაატარა 2-დღიანი ტრენინგი ე.წ. ცხელი და ცივი დებრიფინგის ინსტრუმენტებზე. ტრენინგში, ძირითადად, სუიციდის პრევენციის პროგრამის კოორდინატორები და რეჟიმის თანამშრომლები მონაწილეობდნენ.

სასწავლო შეხვედრის ჩატარებამდე ექსპერტებმა შეიმუშავეს დებრიფინგის ინსტრუმენტები და პროტოკოლები, რომლებიც ციხის თანამშრომელთა დებრიფინგის ჩასატარებლად არის გამიზნული.

იხილეთ მეტი ...

ვმუშაობთ ერთად ჯანდაცვის ხარისხის გასაუმჯობესებლად ციხეებში

23 და 24 მარტს 2-დღიანი სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, ევროსაბჭოს ექსპერტმა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს წარმომადგენლებმა სისტემაში არსებულ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე ისაუბრეს. შეხვედრისას განისაზღვრა მიზნები, პრიორიტეტული სფეროები, აქტივობები, შემარბილებელი ფაქტორები, პასუხიმგებელი პირები და ჯანდაცვის სერვისებზე ხარისხის მართვის შემოღების სამოქმედო გეგმის ვადები. შეხვედრა წარმოადგენდა ე.წ საწყის ფაზას, ხარისხის კონტროლის მეთოდებისა და მექანიზმების სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავებაში.

იხილეთ მეტი ...

ვმუშაობთ ერთად ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანთა უფლებების დასაცავად

ევროპის საბჭომ და ევროკავშირმა დაასრულეს ტრენინგების ციკლი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა უფლებებისა და სამედიცინო ეთიკის საკითხებზე, რომელიც საგანგებოდ ფსიქიატრიულ დაწესებულებათა თანამშრომლებისთვის ჩატარდა. სწავლების შედეგად 240 -მა ფსიქიატრიული დაწესებულების თანამშრომელმა განიმტკიცა ცოდნა ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის მნიშვნელობასა და სამედიცინო ეთიკის საკითხებზე. ისინი შეძლებენ თავიანთი ცოდნის ყოველდღიურ საქმიანობაში მეტი დამაჯერებლობით გამოყენებას.

იხილეთ მეტი ...

სუიციდის პრევენცია სასჯელაღსრულების სიტემაში

ევროპის საბჭო და ევროკავშირი აგრძელებენ მუშაობას საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ფსიქოლოგთა, ფსიქიატრთა და სოციალურ მუშაკთა შესაძლებლობების გაუმჯობესების კუთხით ციხეებში სუიციდის პრევენციის პროგრამის უკეთ ადმინისტრირებისათვის. ამ მხარდაჭერის ნაწილია სუიციდის პრევენციის მულტიდისციპლინური გუნდების მუშაობაზე დაკვირვება, რაც ნოემბერში დაიწყო და დღემდე გრძელდება. აპრილის დასასრულს ადგილობრივი ექსპერტები სუიციდის პრევენციის მულტიდისციპლინური გუნდების მუშაობას თბილისში, რუსთავსა და ქსანში დააკვირდნენ. მაისის თვეში საქართველოს დასავლეთ ნაწილში მდებარე ციხეებში იგეგმება დაკვირვება.

იხილეთ მეტი ...

ფსიქიკური ჯანმრთელობის სკრინინგ საშუალებების გაცნობა ციხეებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში



დასრულდა ციხეებისა და დროებითი მოთავსების იზოლატორებისთვის ფსიქიკური ჯანმრთელობის სკრინინგ საშუალებების დოკუმენტის შემუშავება. დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებს ციხეებში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრების შეფასებაზე და პასუხობს როგორც ძირითად მიზნებს, ინსტრუმენტებსა და სახელმძღვანელოებს, ასევე სამოქმედო გეგმას. დოკუმენტის შემუშავების პირველი ეტაპი მოიცავდა სასჯელაღსრულებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების შეხვედრებს ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან. შეხვედრის დროს საფრანგეთის, გერმანიისა და შვეიცარიის წარმომადგენლებმა ისაუბრეს მათ ქვეყნებში, ციხეებში გამოყენებულ ინსტრუმენტებზე, პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებასა და ციხის პერსონალის მიერ განხორციელებულ პროცედურებსა და ამოცანებზე.

იხილეთ მეტი ...

სუიციდის პრევენციის პროგრამის განმტკიცება პენიტენციურ სისტემაში

ევროპის საბჭო და ევროკავშირი აგრძელებენ პენიტენციურ სისტემაში სუიციდის პრევენციის პროგრამის დანერგვის მხარდაჭერას. ამ პროცესის ფარგლებში გრძელდება კასკადური ტრენინგები პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლებისათვის. აღნიშნულის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ხუთი სამდღიანი ტრენინგი ჩატარდა რისკის ქვეშ მყოფი პირების დროული გამოვლენისა და მათ მიმართ თანმიმდევრული ყურადღების გამოჩენის მიზნით, რაც აუცილებელია ციხეებში სუიციდის პრევენციისათვის და კვალიფიცირებული პერსონალის კოორდინირებულ მუშაობას მოითხოვს.

იხილეთ მეტი ...

ვმუშაობთ ერთად ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის გასაუმჯობესებლად!